ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ქეთევან კილაძე

მშობლების შრომითი მიგრაციის გავლენა ქართველი სტუდენტების ცხოვრების წესზე

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ამირან ბერძენიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023 წელი.

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation 4

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა 5

თავი 1. .....

1.1 კვლევის მიზნები და ამოცანები.....6

1.2 კვლევის მეთოდური ნაწილი 7

1.3 შერჩევა.....7

1.4 სამიზნე ჯგუფი.....8

1.5 კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.....8

1.6 კვლევის ჰიპოთეზა 9

1.7 კვლევის შეზღუდვები 9

1.8 ლიტერატურის მიმოხილვა 9

თავი 2. მიღებული შედეგების ანალიზი .....

2.1 ექსპერტთა გამოკითხვის ანალიზი 13

2.2 სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი 20

2.3 რაოდენობრივი კვლევის ანალიზი.....27

2.4 დასკვნა 29

გამოყენებული ლიტერატურა 32

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს შრომით მიგრაციაში მყოფი ქართველი მშობლების სტუდენტი შვილების ცხოვრების წესის განსაზღვრას, მათი ყოველდღიურობის შესწავლასა და იმ ძირითადი გავლენის დადგენას, რასაც უშუალოდ მშობლების მიგრირება იწვევს სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც წესი, შრომითი მიგრაცია გულისხმობს ადამიანის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასვლას გარკვეული ვადით, დასაქმებისა და მატერიალური რესურსების მოპოვების მიზნით. შრომითი მიგრაცია არის მასშტაბური, გლობალური პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო იზრდება და პრაქტიკულად მოიცავს მთელ მსოფლიოს. შრომით მიგრაციას ადამიანები მიმართავენ მაშინ, როდესაც საკუთარ ქვეყანაში ვერ ახერხებენ დასაქმებას ან არიან დასაქმებულები, თუმცა საარსებო მინიმუმის შესაქმნელად საკმარისი არ არის. უმუშევრობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სოციალური პრობლემაა, რომლის წინაშეც პრაქტიკულად უძლურია თითოეული მოქალაქე. უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნიდან მოქალაქეთა მასობრივი გადინების ერა შრომითი მიგრაციის მიზნით იწყება ძირითადად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლები ინახავენ მრავალი მოქალაქის გამოცდილებასა და პრაქტიკას ემიგრაციული ცხოვრებიდან, რაც ერთმნიშვნელოვნად ცვლის როგორც თავად ემიგრაციაში მყოფ ადამიანს, ასევე მის ირგვლივ მყოფი პიროვნებების ცხოვრების წესს. დღესდღეობით საქართველოდან პრაქტიკულად ყოველი მეშვიდე მშობელი (ძირითადად ქალი) მიდის სხვა ქვეყანაში იმისთვის, რომ უზრუნველყოს შვილების მომავალი, მათი განათლება და კარიერა. თითქმის არავინ საუბრობს იმის შესახებ, თუ რა რჩება ამ პროცესის მიღმა, რა იცვლება მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მშობლის შრომით მიგრაციას

შვილების ყოველდღიურობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფსიქო-სოციალური ფაქტორები, რაც ცალსახად იცვლება როგორც მშობლის, ისე შვილის რუტინულ ცხოვრებაში. ჩემი მიზანია, შევისწავლო კონკრეტულად სტუდენტების ჯგუფი, რომელთა მშობლებიც იმყოფებიან შრომით მიგრაციაში. გამომდინარე იქიდან, რომ მაქვს საშუალება პირადად ვიცნობდე და ვაკვირდებოდე სტუდენტების ამ კატეგორიას, ჩემთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოცემული საკითხი და შესაბამისად, მისი შესწავლაც ჩემი ძირითადი ინტერესის ობიექტია.

Annotation

This work aims to determine the lifestyle of the student children of Georgian parents who are in labor migration, to study their daily life and to determine the main influence that migration of parents directly causes in the daily life of students. As a rule, labor migration refers to the movement of a person from one country to another for a certain period of time in order to obtain employment and material resources. Labor migration is a large-scale, global process that grows over time and practically covers the entire world. People resort to labor migration when they cannot find employment in their own country or when they are employed, but it is not enough to make a living wage. Unemployment is one of the most urgent social problems of our country, before which every citizen is practically powerless. It should be noted that the era of mass outflow of citizens from our country for the purpose of labor migration begins mainly after the independence of Georgia. Over the past thirty years, the pages of our country's history have preserved the experiences and practices of many citizens from the emigration life, which unambiguously changes both the emigrating person and the lifestyle of the people around him. Nowadays, practically every seventh parent from Georgia (mostly women) goes to another country in order to ensure the future of their children, their education and career. Almost no one talks about what remains behind this process, what changes in the relationship between parents and children, what impact parental labor migration can have on their children's daily life. Those psycho-social factors that uniquely change in the routine life of both parents and children are especially important. My goal is to study specifically the group of students whose parents are in labor

migration. Due to the fact that I have the opportunity to personally know and observe this category of students, its study is the object of my main interest.

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

შრომითი მიგრაცია ქართულ რეალობაში აღიქმება როგორც ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემა, ვინაიდან ფაქტი, რომ ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ვერ საქმდება საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად, უკვე მიუთითებს პრობლემის არსებობაზე. ერთი შეხედვით, შესაძლოა კითხვის ნიშანს ბადებს ამ საკითხის პრობლემურობა, თუმცა მისი შინაარსისა და ინდივიდუალურად, თითოეული ემიგრანტის ცხოვრების შესწავლის შემდეგ ცხადი ხდება, რომ შრომითი მიგრაცია არ არის ადამიანის კეთილი სურვილი და პირადი არჩევანი, ეს ცალსახად საჭიროებების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებაა, რასაც თავისმხრივ განაპირობებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არასდროს გვაძლევს დადებით დინამიკას. საქართველოში სამუშაო ძალის ძალიან დაბალი ფასი, ანაზღაურებასთან შეუსაბამო შრომითი პირობები და არასტაბილურობა თავის მხრივ ცხადია გვაძლევს შედეგს, რაც უმუშევართა სტატისტიკის ზრდაში გამოიხატება. შრომით მიგრაციას ძირითადად მიმართავენ ადამიანები, რომლებსაც ჰყავთ შვილები და ვერ ახერხებენ მათთვის ყველა საჭირო და აუცილებელი რესურსის მიწოდებას, მათი ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ეს ფაქტი თავის მხრივ იძულებულს ხდის მშობლებს, რომ შვილების უკეთესი მომავლისთვის პრაქტიკულად საკუთარი თავი და ცხოვრება „გაწირონ“. საინტერესოა ეს ყველაფერი რეალურად უქმნის თუ არა შვილებს „უკეთეს მომავალს“, აძლევს თუ არა უფრო მეტს ვიდრე გვერდით მყოფი მშობელი მისცემდა და ბოლოს, ცვლის თუ არა მათ ყოველდღიურ რუტინას. როგორც წესი, თითოეული მშობლისთვის შვილის კეთილდღეობა, მისი წარმატება და განვითარება უმნიშვნელოვანესია, ჩვენს ქვეყანაში ათასობით ისტორიას მოვისმენთ, სადაც მშობლები შეუძლებელს

აკეთებენ ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად, თუმცა რის ხარჯზე, სწორედ ეს არის საკვანძო საკითხი. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს სტუდენტთა ჯგუფი, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს (დღემდე ასეა) მშობლის შრომითი მიგრაცია და პრაქტიკულად ყველაზე კარგად ესმით რას ნიშნავს მათი კეთილდღეობის ხარჯზე მშობელთან განშორება. ეს საკითხი აქტუალურია მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში, სტუდენტებს, უკვე სრულწლოვან, შემდგარ პიროვნებებს ბავშვებთან შედარებით კარგად აქვთ გააზრებული შრომითი მიგრაციის როგორც მიზეზები, ისე მისი შედეგებიც, რადგან ფაქტობრივად, ამ შედეგს თავადვე „იმკიან“ და ეს მათ ცხოვრებასა და რუტინულ წესებზე აისახება. სტუდენტები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო ცხოვრებაში, სწავლობენ, ვითარდებიან და პარალელურად, უკეთ ესმით თუ ვინ და რა პირობებში აძლევს მათ ამ განვითარების საშუალებას, კითხვაზე პასუხი კი ცხადია მხოლოდ ერთია, მშობელი. შვილებისა და მშობლების ურთიერთობაში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია, ჩვენ არსებითად ხაზს ვუსვამთ მათ შორის არსებულ ფსიქო-ემოციურ დამოკიდებულებებს და იმას, თუ როგორი სახე აქვს დედაშვილურ კავშირს თითოეულ შემთხვევაში. ცალსახად საინტერესოა, თუ როგორი გავლენა აქვს უკვე ზრდასრული ადამიანების (სტუდენტების) ცხოვრების წესზე მშობელთან განშორების ფაქტორს. ცხადია თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და შესაბამისად, ყველას განსხვავებული განცდის უნარი აქვს, თუმცა კვლევის შედეგად შესაძლებელია მეტნაკლებად საერთო სურათის მიღება, რომელიც გვიჩვენებს ამ გავლენას.

თავი 1

1.1 ჩემი მიზანია ვიკვლიო

ჩემი მიზანია ვიკვლიო, თუ რა გავლენა აქვს მშობლების შრომით მიგრაციას ქართველი სტუდენტების ცხოვრების წესზე, შევისწავლო ის კონკრეტული ფაქტორები რაც განაპირობებენ ამ გავლენას. კვლევის ფარგლებში უნდა განვსაზღვროთ, თუ რა იწვევს მშობლების შრომით მიგრაციას და რისი გაღება უწევთ მათ შვილების კეთილდღეობისთვის, ასევე უნდა შევისწავლოთ თავად სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრება, რაც დაგვეხმარება განვსაზღვროთ კვლევის ძირითადი მიზანი.

კვლევის მიზნის შესაბამისად გამოვყოფ შემდეგ **ამოცანებს:**

- ვიკვლიო შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზები საქართველოში
- შევისწავლო ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება ზოგადად შრომითი მიგრაციის შესახებ
- დავადგინო, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან ქართველი მშობლები, რომლებთაც ჰყავთ სტუდენტი შვილები და იმყოფებიან შრომით მიგრაციაში
- ვიკვლიო, თუ როგორ განსაზღვრავენ ქართველი სტუდენტები მშობლების შრომითი მიგრაციის მიზეზებს და როგორ ეგუებიან ამ ფაქტს
- დავადგინო რა გავლენა აქვს მშობლის შრომით მიგრაციას სტუდენტის ყოველდღიურ ცხოვრებაზე
- შევისწავლო რა გამოწვევების წინაშე დგანან თავად სტუდენტები, რომლებიც შინაგანად ებრძვიან მშობელთან ფიზიკურ განშორებას
- გავიგოთ, თუ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს სტუდენტებისთვის და მათი მშობლებისთვის შრომით მიგრაციას

1.2 კვლევის **მეთოდური** ნაწილი:

მონაცემთა მოპოვება მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. გამოკითხვა განვახორციელე პლატფორმა Google forms საშუალებით,

ასევე გამოვიყენე ექსპერტთა გამოკითხვა და სიღრმისეული ინტერვიუ. აღნიშული მეთოდების პრაქტიკული გამოყენების შემდეგ **ანალიზის** პროცესი დავიწყე ინდივიდუალურად თითოეულის დამუშავებით, რაოდენობრივი მონაცემების გაშივფრით, ტრანსკრიპტების მომზადებით, რამაც საბოლოოდ საშუალება მომცა, ერთთმანეთთან შედარების საფუძველზე კვლევაში დასმულ ძირითად შეკითხვებზე მეპასუხა.

1.3 შერჩევა

კვლევაში მონაწილეები შერჩეულია ცხადია თემასთან შესაბამისობით, კერძოდ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმა, რომელთა მშობლებიც იმყოფებიან შრომით მიგრაციაში და ასევე უშუალოდ იმ მშობლებმა, რომლებსაც ჰყავთ სტუდენტი შვილები და არიან სხვა ქვეყანაში მიგრირებულნი. შერჩევა ძირითადად განხორციელდა თოვლის გუნდის მეთოდის საშუალებით, რაც გულისხმობს ერთი რესპონდენტის გავლით/დახმარებით მეორე რესპონდენტის პოვნას, კერძოდ, კვლევის საკითხთან რელევანტური პირების ძიებისას, თითოეული რესპონდენტი მაწვდიდა ინფორმაციას სხვა, ასევე რელევანტური პირის შესახებ და ამ უწყვეტმა ჯაჭვმა ჩამოაყალიბა ჩემს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ერთობლიობა.

1.4 სამიზნე ჯგუფი

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქართველი მშობლები, რომლებიც იმყოფებიან შრომით მიგრაციაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მათი სტუდენტი შვილები, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტებში იღებენ განათლებას.

1.5 კვლევის **პრაქტიკული მნიშვნელობა:**

ეს საკითხი განისაზღვრება თემის აქტუალურობით, ვინაიდან როგორც ვხედავთ შრომითი მიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი და გავრცელებული სოციალური პრობლემაა და შესაბამისად, მისი კვლევაც მნიშვნელოვანი და საჭიროა. კონკრეტულად მშობელთა შრომითი მიგრაციის გავლენის კვლევა ქართველი სტუდენტების ცხოვრების წესზე მოგვცემს მრავალმხრივ ინფორმაციას და გამოკვეთს მიახლოებით სურათს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ემიგრაციაში მყოფი მშობლების სტუდენტი შვილები. ასევე აღსანიშნია ფაქტი, რომ ეს კვლევა დაეხმარება იმ მოზარდებს, რომელთა მშობლებიც ახლო მომავალში გეგმავენ შრომით მიგრაციაში წასვლას და შეიძლება ითქვას, ეს კვლევა იქნება ერთგვარი გზამკვლევი, თუ რასთან გამკლავება და რისი გადალახვა მოუწევთ როგორც მშობლებს, ისე მოზარდებსაც.

1.6 საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზა:**

„მშობლების შრომითი მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართველი სტუდენტების ცხოვრების წესზე და ეს ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს მათ ყოველდღიურ რუტინას“.

1.7 კვლევის **შეზღუდვები:**

კვლევის ძირითადი შეზღუდვა არის ის, რომ იგი მცირემასშტაბიანია და ამ საკითხზე მისით ხელმძღვანელობა არ მოგვცემს დაზუსტებულ მონაცემებს იმის შესახებ თუ როგორ გავლენას ახდენს მთელ საქართველოში მცხოვრებ სტუდენტებზე მათი მშობლების შრომითი მიგრაცია. გამოკითხვა ნაწილობრივ (ძირითადად ემიგრანტ მშობლებთან) ჩატარდა ონლაინ, რაც კვლევის შეზღუდვად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მათთან სიღრმისეული ინტერვიუს დროს პირდაპირი კომუნიკაცია უფრო მეტად მომცემდა საშუალებას დავკვირვებოდი გამოკითხვის ვერბალურ მხარეს, რესპონდენტთა ქცევებსა და ემოციებს. ასევე ერთ-

ერთი შეზღუდვა იყო დროის სიმცირე, რაც სამწუხაროდ შრომით მიგრაციაში მყოფი მშობლებისთვის მნიშნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

1.8 ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე სამყარო განვითარებასა და წინსვლასთან ერთად დგას მრავალი აქტუალური სოციალური პრობლემის წინაშე, რომლის აღმოფხვრაც, საერთო ძალისხმევის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა არის მიგრაცია, ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან (სამშობლოდან) მეორე ქვეყანაში გარკვეული მიზეზით. ჩვენ დღეს ვსაუბრობთ კონკრეტულად შრომითი მიგრაციის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. სამუშაო ძალის გადინება ძირითადად ხდება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისკენ, ვინაიდან მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს არსებობისთვის, გადარჩენისთვის ბრძოლა უწევს საკუთარ ქვეყანაში და სწორედ ამ მიზნით მიმართავს შრომით მიგრაციას, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს შემდეგს, რომ საქართველოდან ადამიანები ძირითადად მიდიან საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით და არა იმიტომ რომ სხვა ქვეყანაში შეძლონ კარიერული რეალიზება. მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის მიმოსვლა შედარებით გამარტივდა და მოქალაქეებს ეძლევათ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა შესაბამისი საბუთების საშუალებით, გაცილებით მეტი ადამიანი მიმართავს შრომით მიგრაციას და იღებს ცალსახა გადაწყვეტილებას მიგრირების შესახებ. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩვენი ქვეყნიდან ყველაზე მეტი ადამიანი წავიდა 1990-1995 წლებში, როდესაც მოვიპოვეთ თავისუფლება და უეცარმა ცვლილებებმა სრულად შეცვალა მოსახლეობის ცხოვრების წესი. პრაქტიკულად ადამიანები დარჩნენ სამსახურის და შესაბამისად, შემოსავლის გარეშე, რაც ცხადია, უარყოფითად აისახა როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე, ისე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკასა და განვითარებაზე. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე ათი ათასობით მოქალაქე ტოვებს

ყოველწლიურად საქართველოს, რადგან დღესაც კი არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ თითოეული ადამიანი საკუთარი ქვეყნისთვის შრომობდეს. უმუშევრობა შესაძლოა ჩვენს შემთხვევაში უპირველეს სოციალურ პრობლემად ჩავთვალოთ, 2022 წლის დასაწყისში ქართველი შრომისუნარიანი მოსახლეობის 19,4% ითვლებოდა დაუსაქმებლად. ერთის მხრივ სავალალოა დაუსაქმებელ ადამიანთა სტატისტიკა, ხოლო მეორე მხრივ ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, არის კი დასაქმებულ მოქალაქეთა შემოსავალი საკმარისი საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად ? ამაზე პასუხს უშუალოდ შრომითი მიგრაციის სტატისტიკის შესწავლის შედეგად გავიგებთ. (ბადურაშვილი, 2001,გვ.5-9). 2019 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შექმნილ ნაშრომში, რომელიც სწორედ შრომით მიგრაციას და მის გავლენებს ეხება, ნათლად არის ასახული ჯერ კიდევ 4 წლის წინანდელი რეალობა, სადაც შრომითი მიგრაცია ერთ-ერთი მთავარი „გამოსავალია“ ქართველი მოსახლეობისთვის, ვინაიდან სამუშაო ძალის დაუფასებლობა და იაფი მუშახელის ცნება ჩვენი ქვეყნისთვის მაშინაც და ახლაც უცვლელი პირობაა, რომელსაც ჩვენ, მოქალაქეებს გვთავაზობენ სხვადასხვა პოზიციებზე. (ნატროშვილი, 2019) აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადად ქვეყნიდან მიდიან ადამიანები, რომელთაც ჰყავთ შვილები და მათ უზრუნველსაყოფად ერთადერთ გამოსავალს ემიგრაციაში ხედავენ. გამომდინარე იქიდან რომ ჩემი კვლევის მიზანს სწორედ მშობლების შრომითი მიგრაციის გავლენის შესწავლა წარმოადგენს, გავეცანი ამ საკითხთან რელევანტურ ლიტერატურას, რაც სამწუხაროდ მრავლად არ გვაქვს. გავეცანი კვლევას, რომელიც სწორედ დასაქმების მიზნით წასული მშობლებისა და მათ მიერ სამშობლოში დატოვებული შვილების ურთიერთობას ეხებოდა და მეტად დავინტერესდი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით, თუ რამდენად ცვლის მიგრაციის პროცესი ყოველდღიურ ურთიერთობებს, როგორ იწვევს გაუცხოებას მშობელსა და შვილს შორის და როგორ აქცევს ვირტუალურ კომუნიკაციას რუტინად. ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები თანხმდებიან, რომ მშობელთან განშორებას ადამიანი ასაკის მიხედვით განსხვავებულად განიცდის, ცხადია ბავშვისთვის ეს პროცესი უფრო მეტად იწვევს მრავალ კითხვას, გაურკვევლობას

და შიშს, ვიდრე მოზარდისთვის, თუმცა ფაქტი, რომ მშობელთან დროებითი განშორება ძალიან დიდ ფსიქო-ემოციურ გავლენას ახდენს ადამიანზე, დადასტურებულია ფსიქოლოგების მიერ. მშობელთან ურთიერთობის დეფიციტს და მათგან შორს ყოფნას ცხადია მიზეზიც აქვს და შედეგიც, აუცილებელია ორივე მხარე განვიხილოთ და ვისაუბროთ როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებზე. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, რასაც პრაქტიკულად ყოველდღე უმკლავდებიან შრომით მიგრაციაში მყოფი მშობლები და მათი შვილები, ამ პროცესს თან ახლავს მრავალი სასიკეთო შედეგიც. მაგალითად, რომ არა მშობლის შრომითი მიგრაცია, შვილებს პრაქტიკულად არ ექნებოდათ ცხოვრებისთვის აუცილებელი რესურსები, ვერ მიიღებდნენ განათლებას და ვერ რეალიზდებოდნენ საზოგადოებაში როგორც მისი სრულფასოვანი წევრები. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ყველა ჩამოთვლილი საკითხი ცალსახად უკავშირდება ფინანსურ კეთილდღეობას და მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელიც კი არის ჩვენს ქვეყანაში მოზარდის განვითარება. ყველა ვთანხმდებით საკითხზე, რომ ბავშვს დაბადებიდანვე სჭირდება განსაკუთრებული ზრუნვა, ყურადღება და შესაბამისი მატერიალური რესურსი, რის გარეშეც სრულყოფილი ვერ იქნება მოვლა-პატრონობის პროცესი. მშობელი თავის მხრივ თავიდანვე ყველა არსებულ გზას მიმართავს, რომ საკუთარი შვილის აღზრდა-განვითარება უზრუნველყოს, თუმცა დროთა განმავლობაში, ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი საჭიროებებიც. ამ უკანასკნელის დაკმაყოფილება კი საქართველოში უფრო მეტად რთულია, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყანაში, რადგან ჩვენთან მინიმალური შემოსავალი და მარქსისეული „ გაუცხოებული შრომაა“ სტანდარტი. სწორედ ამიტომ მშობლები ტოვებენ ქვეყანას და ეწევიან შრომით მიგრაციას შვილების ნათელი მომავლისთვის. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რაც თან სდევს ამ პროცესს, საბოლოოდ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შრომით მიგრაციას აქვს დადებითი გავლენაც შვილების მომავალზე. უფრო კონკრეტულად ამ გავლენის შინაარსს კი სწორედ ჩემი კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ გავაანალიზებთ.

მიგრაციის შესახებ არაერთი სახელმძღვანელო არის გამოცემული, სადაც ნათლადაა ასახული ემიგრანტთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი დეტალები. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ სტატისტიკას, რომელიც გვაჩვენებს გენდერული თვალსაზრისით როგორ სურათს გვაძლევს შრომითი მიგრაცია. როგორც წესი, საქართველოდან საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით ძირითადად მიდიან ქალები, (52 % 2019 წლის მონაცემებით) რასაც ცხადია თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქალებისთვის სამუშაოს პოვნის პროცესი უფრო მარტივია ვიდრე მამაკაცებისთვის. განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად ევროპის რომელიმე ქვეყანაში სტანდარტად და ნორმად არის მიჩნეული ოჯახში დამხმარე პიროვნების ყოლა, რომელიც საშინაო სამსახურს შეასრულებს და იზრუნებს მოხუც ან განსაკუთრებული საჭიროების პირზე, ასეთ პოზიციებზე კი ცხადია ქალებს განიხილავენ. ასეთ სამსახურში მიგრანტებს განიხილავენ როგორც შედარებით იაფ ფასიან მუშახელს, რაც ორივე მხარისთვის საბოლოოდ დამაკმაყოფილებელია და შრომითი მიგრაციის მიზნით წასული ადამიანიც მარტივად საქმდება. სამუშაო პოზიციები უფრო ვრცლად რომ განვიხილოთ, მათი დასახელება შემდეგნაირია:

- მზარეული, დამლაგებელი, მრეცხავი
- საოჯახო ან სხვა ტიპის სასტუმროს დიასახლისი
- მცირეწლოვან (0-3 წლამდე) ბავშვთა ძიძა
- ხანდაზმული (65-85 წლამდე) ადამიანის ძიძა
- განსაკუთრებული საჭიროების (შშმ პირები) მქონე ადამიანის ძიძა
- მედდა სამედიცინო დაწესებულებებში
- სხვადასხვა ხილისა თუ ბოსტნეულის მკრეფავი
- მუშახელი სამშენებლო ტერიტორიაზე

ამ ჩამონათვალის მიხედვით უფრო ნათელი ხდება, რომ ძირითადად სამუშაო პოზიციები სწორედ ქალბატონებზეა მორგებული და ამგვარი განაწილების შესაბამისად, მათი ხვედრითი წილი შრომითი მიგრაციის პროცესში გაცილებით მეტია ვიდრე მამაკაცის. (მიგრაციის სახელმძღვანელო, 2017, გვ.234-252).

გადაწყვეტილება შრომითი მიგრაციის შესახებ მეტნაკლებად ყოველთვის კარგად გააზრებული და გაანალიზებულია, რადგან ეს არ არის არც მარტივი და არც წამიერი პროცესი. შესაძლოა იგი არ წარმოადგენდეს ადამიანის პიროვნულ სურვილს, თუმცა საბოლოო ჯამში, ყველა ვინც ეწევა შრომით მიგრაციას თავიდანვე იზიარებს როგორც მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ისე მის შედეგებსა და თანმხლებ სავარაუდო მოვლენებს. რაოდენ მძიმე და რთულიც უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება, გულის სიღრმეში ყველა ემიგრანტს აქვს ორი მთავარი რამ, იმედი და ძალიან დიდი სევდა. იმედი იმისა, რომ ცხოვრების ახალი ნაბიჯი მოუტანს კეთილდღეობას, შეცვლის მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხს და სევდა, რომელიც საკუთარი სახლისგან, სამშობლოსა და საყვარელი ადამიანებისგან სიშორით არის გამოწვეული. შრომით მიგრაციაში მყოფ მშობლებს კარგად ესმით, რომ შვილების მომავალი, მათთვის უზრუნველი ცხოვრების შექმნა უმთავრესი ღირებულებაა, რომელსაც ნებისმიერი სირთულისა და მსხვერპლის ფასად, უპირობოდ და უანგაროდ გასცემენ.

თავი 2

2.1 ექსპერტთა გამოკითხვის ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა გამოკითხვა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ სიმდიდრედ ითვლება, ცხადია ჩემს კვლევაში გამოვკითხე ექსპერტები და მათგან რელევანტური ინფორმაციაც მივიღე. აუცილებელია აღვნიშნო, რომ ნებისმიერი საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად თავდაპირველად აუცილებელია დარგის ექსპერტთან გასაუბრება და მისგან პროფესიონალური რჩევა-დარიგებების მიღება. ეს პროცესი ამარტივებს და ამავდროულად უფრო სწორსა და პრაქტიკულს ხდის კვლევის პროცესს. ჩემს კვლევაში ჩართული იყო ორი ექსპერტი. კერძოდ, მნიშვნელოვნად ჩავთვალე გამომეკითხა სოციალური მუშაკი, (ა.კ) რომელიც აქტიურად არის ჩართული ემიგრანტების ცხოვრების შესწავლაში და სოციალურ დახმარებას უწევს მათ შვილებს (იმ ორგანიზაციის მეშვეობით რომლის

წარმომადგენელიც არის) და ასევე გამოვკითხე ფსიქოლოგი, (ნ.ნ) რომელსაც ხშირად აქვს პროფესიული ურთიერთობა ემიგრანტებსა და მათ შვილებთან და განსაკუთრებით კარგად აღწერს იმ გავლენას რის შესწავლასაც ამ კვლევის ფარგლებში ვაპირებ.

ცხადია კითხვარის შესაბამისად ორივე ექპერტთან საუბარი დავიწყე უშუალოდ შრომით მიგრაციასა და მის შინაარსზე, მიზეზებსა და მოტივებზე. სოციალური მუშაკი განსაკუთრებით კარგად აღწერს იმ ურთულეს პროცესს რასაც ადამიანი გადის შრომით მიგრაციამდე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ინდივიდი ნებისმიერ გადაწყვეტილებამდე ეცნობა მის შინაარსს, მოსალოდნელ შედეგებსა და პროცესებს, თუმცა რეალურად წარმოუდგენელია შრომითი მიგრაციის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და ეს ბოლომდე გააზრებული გქონდეს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია არის მხოლოდ თეორიული, რასაც სხვა, ემიგრაციაში მყოფი ადამიანებისგან ვეცნობით და იგი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ამ საკითხზე, შეუძლებელია უშუალოდ საკუთარ გამოცდილებამდე ადამიანმა კარგად გაიაზროს რასთან აქვს საქმე და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს. სოციალური მუშაკი ამბობს:

„ ჩვენ ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს ათასობით ემიგრანტის სოციალურ ცხოვრებას და ვიქმნით წარმოდგენას მათი ყოველდღიურობის შესახებ, რაც პრაქტიკულად არასწორია, ვინაიდან ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ გაისიგრძეგანებს ემიგრანტობის იდეას მანამ, სანამ თავად ჩვენ არ ვიქნებით ემიგრანტები „.

ცხადია ამ საკითხზე საკუთარი აზრი ფსიქოლოგმაც გამოთქვა და აღნიშნა, რომ ჩვენი, ადამიანების ფსიქიკა ზოგადად ამგვარადაა მოწყობილი, რომ უცხო თვალით სხვის ცხოვრებასა და ყოფაზე დაკვირვებით გამოგვაქვს სრულიად არარეალური დასკვნები მათ შესახებ, შორიდან ყველაფერი გაცილებით უმნიშვნელო და მარტივია ვიდრე მაშინ, როდესაც ადამიანი რაღაც გამოცდილებას გაიზიარებს და თავადვე გახდება მისი მონაწილე. შრომითი მიგრაციაც ამგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სანამ ადამიანი არ ჩაებმება ამ ქსელში, იქამდე ზოგადი წარმოდგენებითა და სხვა ემიგრანტების გამოცდილებებით ხელმძღვანელობს, რაც ცხადია მას ვერ მისცემს რეალურ სურათს. ფსიქოლოგმა ასევე ყურადღება

გაამახვილა ადამიანის ინდივიდუალიზმსა და განსხვავებულობაზე, რადგან გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ, ყველას გვაქვს სრულიად სხვადასხვა ხასიათი, ფსიქიკა და გრძნობები, ცხადია ერთნაირად ვერ გავივლით და ვერ აღვიქვამთ ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, ამიტომ კონკრეტულად ემიგრანტობის გზა შესაძლოა ყველა ადამიანმა განსხვავებულად გაიაროს. რაც შეეხება უშუალოდ შრომითი მიგრაციის მიზეზებს, ორივე ექსპერტი თანხმდება ფაქტზე, რომ საქართველოში არსებული შრომითი პირობები და განსაკუთრებით სამუშაო ძალის ანაზღაურება არსებითად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანმა საკუთარი და ასევე მისი ოჯახის საჭიროებები დააკმაყოფილოს, რასაც ცხადია თან სდევს გადაწყვეტილება სხვა ალტერნატიული გზების გამოძებნაზე, კერძოდ შრომით მიგრაციაზე. სოციალური მუშაკი ამბობს:

„ მშობლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი, ერთი ის, რომ იყოს შვილის გვერდით და მეორე, ის რომ უზრუნველყოს იგი. საქართველოში ეს ორი ფაქტორი ხშირად ვერ მოდის თანხვედრაში, რადგან არ გვაქვს შესაბამისი რესურსი და შესაბამისად მშობელი პრიორიტეტულად მიიჩნევს შვილის კეთილდღეობის მიზნით მისგან შორს ყოფნას“.

ექსპერტები ამბობენ, რომ მშობლის შრომითი მიგრაციის ძირითადი მოტივი შვილების მომავალზე ზრუნვაა, რაც ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ შრომითი და საცხოვრებელი პირობებიდან გამომდინარე შეუძლებელი ხდება. ფინანსური რესურსების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია მოზარდს ჰქონდეს მისთვის საჭირო და აუცილებელი პირობები იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად, მიიღოს კარგი განათლება და განვითარდეს კარიერულად. ამ რესურსების მოსაპოვებლად კი ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის დიდ ნაწილს ერთადერთ გზად შრომითი მიგრაცია რჩებათ.

შინაარსსა და მიზეზებზე საუბრის შემდეგ უშუალოდ შევეხეთ სტუდენტთა ცხოვრების წესსა და მათი მშობლებთან ურთიერთობის დეტალებს, გამოწვევებს, რომელთან გამკლავებაც უწევთ ერთმანეთისგან შორს მყოფ ოჯახის წევრებს. ფსიქოლოგის აზრით, როდესაც მშობელი იღებს გადაწყვეტილებას შრომითი მიგრაციის შესახებ, აუცილებელია ნებისმიერი ასაკის შვილს წინასწარ აუხსნას

სიტუაცია, მიზეზები, მოტივები და მოლოდინები თუ რის გამო მიდის სხვა ქვეყანაში, როგორ აპირებს მათზე ზრუნვას და რას პირდება უკეთესი მომავლისთვის. ყოველი შვილი ცხადია იმსახურებს ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც მის თავს ხდება, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე მშობელთან განშორებას ეხება. რახან ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფს უშუალოდ სტუდენტები წარმოადგენდნენ ექსპერტებს სწორედ საკითხის ამ კუთხით განხილვა ვთხოვე. მათი აზრით, მოზარდობის ასაკში რამდენადაც გააზრებულად და ადეკვატურად შეიძლება შეხვდეს შვილი მშობლის შრომით მიგრაციას, იმდენად უფრო რთულია მისთვის ამ ეტაპის გადალახვა. ფსიქოლოგმა აღნიშნა:

„ სტუდენტები უკვე ზრდასრული, სრულწლოვანი პიროვნებები შესაძლოა კარგად იაზრებდნენ მშობლის შრომითი მიგრაციის მოტივებს, თუმცა ამასთან, პრაქტიკულად ეს არის პირველი ეტაპი დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ, როდესაც ადამიანი აკეთებს ყველაფერ ახალს, განსხვავებულს და შესაძლოა სწორედ ამ დროს განსაკუთრებულად სჭირდებოდეს გვერდით მშობელი, რომელიც დაამშვიდებს, მისცემს მოტივაციას და გულში ჩაიკრავს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიც და სოციალური მუშაკიც ერთ მნიშვნელოვან დეტალს გამოყოფენ, რასაც შეგვიძლია „განცდისა და სინანულის გრძნობა“ ვუწოდოთ. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტს, როგორც ზრდასრულ ადამიანს გააზრებული აქვს მშობლის მიგრაციის მოტივი, ისინი გულის სიღრმეში შესაძლოა თავს თვლიდნენ დამნაშავედ, რომ მათი ცხოვრების უზრუნველსაყოფად მშობლები ტოვებენ სამშობლოს და სრულიად უცხო ქვეყანაში მიდიან დასასაქმებლად, პრაქტიკულად შესაძლოა შვილებმა მიიჩნიონ, რომ მშობლები მათ ცხოვრებასა და ამ ცხოვრების ნაცნობ წესს სწირავენ შვილების საჭიროებებს. ფსიქოლოგმა გაგვიზიარა საკუთარი პროფესიული გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზრდასრული ადამიანისთვის რთულად გადასალახია თავად ფაქტი, რომ ჯერ კიდევ საჭიროებენ მშობლისგან დახმარებას და განსაკუთრებით, როდესაც ეს უცხო ქვეყანაში დიდი ხნით წასვლის ხარჯზე ხდება. დამნაშავეობის განცდა ადამიანში თვითნებურად ჩნდება, ბავშვობის ასაკში ამაზე ადამიანი არ ფიქრობს, მისი ქვეცნობიერი აღიქვამს უფრო დადებით ეფექტებს

ვიდრე უარყოფითს, ამიტომ უკვე ზრდასრულობისას იღვიძებს სხვა შინაგანი გამოძახილები, რაც აფიქრებს უფრო სიღრმისეულ მიზეზებსა და მოტივებზე, ამ უკანასკნელს კი მოზარდი მიჰყავს სინანულისა და განცდის გრძნობამდე, რომ თითქოს *„ მე რომ არა ჩემი მშობლები ჩვეულებრივ საკუთარ ქვეყანაში და ოჯახში იცხოვრებდნენ „* . ეს ფაქტორი თავის მხრივ ცვლის ზრდასრულის ყოველდღიურ ცხოვრებას და გარკვეულწილად აუცხოებს მას მშობელთან, ჩნდება რიდი და მოკრძალება მათ მიმართ, უფრო მეტი პატივისცემისა და დაფასების განცდა, ემპათია მშობლებისდამი რასაც შემდეგ თავიანთ ქცევებსა და ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებში გამოხატავენ.

სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ სტუდენტები, რომლებმაც ცხადია იციან რომ მათი მშობლები ან მშობელი შრომით მიგრაციაშია მათივე საკეთილდღეოდ, უფრო მეტად თვლიან თავს ვალდებულად და პასუხისმგებლად საკუთარი ცხოვრებისა და კარიერის კუთხით. კერძოდ, ასეთი სტუდენტები შრომობენ გაცილებით მეტს, სწავლობენ მაქსიმალური მონდომებითა და ენთუზიაზმით. ფსიქოლოგი ამ ყველაფერს „ იმედების გამართლების“ პრინციპით აღწერს და ამბობს, რომ ადამიანში ასეთ დროს ქვეცნობიერად ჩნდება ვალდებულების გრძნობა, თითქოს იმიტომ რომ მშობელი მის გამო მძიმე პირობებში საკუთარი ქვეყნისგან შორს არის, ის ვალდებულია მშობლის მოლოდინები გაამართლოს და მისი შრომა „ წყალში არ ჩაყაროს“. ამ საკითხს უფრო დეტალურად თავად სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზის დროს განვიხილავთ.

ცხადია დავინტერესდი, თუ რას გამოარჩევენ ექსპერტები სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრებიდან, რაზეც უშუალოდ მოქმედებს მშობლის შრომითი მიგრაციის საკითხი. სოციალური მუშაკი, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ემიგრანტებთან ურთიერთობისა და მათი დახმარების საკითხში აღნიშნავს, რომ ემიგრანტთა შვილებს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვთ უმთავრესი, მშობელთან ურთიერთობის დეფიციტი, რაც ცხადია მოქმედებს როგორც მათ რუტინულ მოქმედებებზე ისე ხასიათსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სტუდენტური ცხოვრების წესი დატვირთული და სხვადასხვა აქტივობით

დაბუნძლულია ისე, რომ შესაძლოა ზედმეტი ფიქრისა და დარდის დროც არ დარჩეს სტუდენტს, თუმცა ცხადია ის რაც გულის სიღრმეში ადამიანს რეალურად აწუხებს, ნებისმიერ დროს თან სდევს და ამ მხრივ, დატვირთული რეჟიმი შემაფერხებელი ფაქტორი ნამდვილად არ არის. ფსიქოლოგმა ისაუბრა სტუდენტებისა და ემიგრანტი მშობლების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობაზე ნამდვილი და წრფელი ალბათ არაფერი არსებობს სამყაროში, ეს არის გრძნობა, რასაც მხოლოდ მშობელი შვილის მიმართ და პირიქით, შვილი მშობლის მიმართ განიცდის. ცხადია ასეთ ურთიერთობებში განშორება და რეალური კომუნიკაციის დეფიციტი წარმოქმნის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემებს. მშობლები გამუდმებით ფიქრობენ შვილებზე, მათ ყოველდღიურობაზე, აინტერესებთ როგორ არიან, რას აკეთებენ, რა უჭირთ და რა სჭირდებათ, ეს კითხვის ნიშნები მათ აძლევს ნერვიულობისა და შფოთვის საბაბს, რაც პრაქტიკულად ემიგრაციაში ყოფნისას არასდროს ნელდება. თავის მხრივ შვილებიც ფიქრობენ ემიგრანტ მშობლებზე, სურთ ცხოვრების თითოეული ახალი ნაბიჯის ან უბრალო ყოველდღიურობის გაზიარება მათთვის, რჩევა-დარიგებების მიღება ან გულწრფელი კომუნიკაცია რის დეფიციტსაც განიცდიან. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უწყობს იმას, რომ ირღვევა ადამიანის ფსიქიკა, იცვლება ხასიათი, რომელიც ცხადია ყოველდღიურობასა და რუტინულ საქმიანობებზე უარყოფითად აისახება. ფსიქოლოგმა აღნიშნა:

„ მუდმივი ნერვიულობა, სიშორე, ურთიერთობის დეფიციტი აუცხოებს მშობელსა და შვილს ერთმანეთისგან, ვირტუალური კომუნიკაცია არის ბარიერი, რომელიც გარკვეულ საზღვრებს ქმნის ამ ურთიერთობაში „.

ექსპერტებს ასევე ვთხოვე ესაუბრათ შრომითი მიგრაციის დადებით მხარეებზე და იმ გავლენაზე, რაც მათ სტუდენტ შვილებზე პოზიტიურად აისახება. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ხშირ შემთხვევაში, რომ არა შრომითი მიგრაცია, მშობლები ვერ უზრუნველყოფდნენ შვილების საჭიროებებს, მათ განათლებასა და განვითარებას. პრაქტიკულად შრომითი მიგრაცია არის უკიდურესი გადაწყვეტილება, როდესაც მშობელს სხვა გზა აღარ რჩება იმისთვის, რომ საარსებო მინიმუმი დაიკმაყოფილოს. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, ამ პროცესს აქვს პოზიტიური გავლენა როგორც

მშობელზე ისე მის სტუდენტ შვილებზე. როგორც სოციალური მუშაკი აღნიშნავს, ემიგრაციაში მყოფი ადამიანი ახერხებს მისი ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფას, დებს მნიშვნელოვან რესურსს შვილების განათლებაში, აძლევს მათ ფინანსებს, დასვენებისა და სიმშვიდის შესაძლებლობას რაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

„ შრომითი მიგრაცია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც პრობლემა, რადგან გარკვეულწილად, რომ არა ეს პროცესი, უამრავი ბავშვის ცხოვრება გაცილებით უარესი იქნებოდა საქართველოში ვიდრე არის. მშობლები მაქსიმალურ რესურსს დებენ შვილების უზრუნველყოფაში და ვირტუალურად მაინც ცდილობენ მათზე ზრუნვას, ეს ყველაფერი საბოლოოდ პოზიტიურად აისახება შვილებსა და მათ მომავალზე“.

ფსიქოლოგის აზრით, შრომითი მიგრაციის პროცესი მშობლისა და შვილის ცხოვრებაში თავდაპირველად უფრო რთულად მიმდინარეობს, დროთა განმავლობაში ორივე მხარეს უფრო მეტი მიმღებლობა აქვს ამ მდგომარეობის მიმართ და ფაქტს უფრო პოზიტიური თვალსაზრისით უყურებენ, ვიდრე ნეგატიურად. აღსანიშნავია ისიც, რომ ემიგრანტობის პირველი წლიდან ადამიანებს უკვე აქვთ საშუალება რომ საკუთარ სამშობლოში რამდენიმე დღით მაინც დაბრუნდნენ და ოჯახი მოინახულონ, ან შვილები წაიყვანონ იქ სადაც თავად ეწევიან შრომით მიგრაციას და თუნდაც დროებით იგრძნონ თავი ბედნიერად. ეს პროცესი უფრო ამარტივებს ემიგრანტობის სიძნელეებს და ეხმარება ადამიანს მონატრების გრძნობასთან გამკლავებაში, რაც შორს ყოფნისას არასდროს ნელდება.

პოზიტიურ მხარეზე საუბრისას სოციალურმა მუშაკმა, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციასაც წარმოადგენს სხვადასხვა პროექტში აღნიშნა, რომ შრომით მიგრაციაში მყოფი ადამიანები ეხმარებიან არა მხოლოდ საკუთარ შვილებსა და ოჯახს, არამედ სხვა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებსა და მათ ოჯახებსაც, ისინი ჩართულნი არიან საქველმოქმედო ფონდებსა და სოციალური დახმარების პროექტებში, (აფინანსებენ სხვა სტატუსშეჩერებული სტუდენტის სწავლის საფასურს) რაც ფაქტია პოზიტიური მოვლენაა, ვინაიდან რომ არა

შრომითი მიგრაცია შესაძლოა ამ ყველაფრის განხორციელების შესაძლებლობა მათ არ ჰქონოდათ.

საბოლოოდ, ჩემ მიერ გამოკითხულ ექსპერტთა ნაამბობიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ შრომითი მიგრაცია ქართველი მოსახლეობისთვის პრაქტიკულად ერთადერთი გზაა, რაც მათ ეხმარებათ გაიუმჯობესონ სამუშაო და საცხოვრებელი პირობები და რაც მთავარია, უზრუნველყონ საკუთარი შვილების კეთილდღეობა. ასევე აღსანიშნია, რომ სტუდენტებსა და მათ ემიგრანტ მშობლებს შორის ურთიერთობაში შესაძლოა თავი იჩინოს გაუცხოებამ, სინანულმა და შფოთვებმა, შესაძლოა მათ თავი დაადანაშაულონ მშობლების მიგრაციის საკითხში და ამან მათში გამოაღვიძოს „ იმედების გამართლების“ პრინციპი. ორივე ექსპერტმა ცხადჰყო, რომ უშუალო, რეალური ურთიერთობის დეფიციტი გარკვეულ ფსიქო-ემოციურ დარღვევებს იწვევს როგორც მშობლებში, ისე მათ შვილებში, რაც თავის მხრივ ცვლის შვილების (სტუდენტების) ყოველდღიურ ცხოვრებას. ამასთან, შრომით მიგრაციას მშობლებსა და მათ სტუდენტ შვილებზე პოზიტიური გავლენაც აქვს, ვინაიდან რომ არა ეს ფაქტი, შესაძლოა ამ სტუდენტებს არ ჰქონოდათ განათლების მიღებისა და სხვა საჭიროებების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ექსპერტთა გამოკითხვის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლების შრომითი მიგრაცია ნამდვილად ახდენს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ გავლენას მათი სტუდენტი შვილების ცხოვრების წესზე. უფრო დეტალურად კი ამ საკითხს შევისწავლით უშუალოდ სტუდენტთა და მშობელთა ინტერვიუების საფუძველზე.

2.2 სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ემიგრანტ მშობლებთან და მათ სტუდენტ შვილებთან. აქედანვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროცესი იყო ძალიან ემოციური და მძიმე თითოეული მათგანისთვის, ვინაიდან ეხებოდა მეტად სენსიტიურ საკითხს. ცხადია ინტერვიუ წარიმართა წინასწარ შ ედგენილი კითხვების საფუძველზე. ანალიზის პროცესის მცირე ქვეთავებად დაყოფა, უფრო დეტალურად,

საინტერესოდ და გასაგებად აღწერს მის შინაარსს, სადაც თავმოყრილია ემიგრანტი მშობლებისა და მათი სტუდენტი შვილების მონათხრობი.

შრომითი მიგრაციის მიზეზები და მისი მოტივები:

ცხადია, თავდაპირველად როგორც მშობლებს ასევე მათ შვილებს ვკითხე საკუთარი გადმოსახედიდან ემიგრაციის მიზეზებისა და მოტივების შესახებ. მშობელთა აბსოლიტური უმრავლესობა ემიგრაციის მიზეზებზე საუბრისას გამოყოფს უსახსრობასა და საკუთარ ქვეყანაში რესურსების არარსებობას. ისინი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, საქართველოში ეპოვათ სტაბილური სამუშაო, საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხეს მატერიალურად ფეხზე დადგომა და ოჯახების სრულფასოვნად მოვლა/პატრონობა, რაც ცხადია თავის მხრივ ძალიან დიდ ხარჯებს უკავშირდება. საკითხი განსაკუთრებით მწვავეა მაშინ, როდესაც ოჯახში არსებობს სტუდენტი შვილები, რომლებსაც ცხოვრების ამ ეტაპზე ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა. საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, მათ არ რჩებათ სხვა ალტერნატივა და ერთადერთ გამოსავალს სწორედ ემიგრაციაში პოულობენ.

„ უამრავჯერ გადავიფიქრე საზღვარგარეთ წასვლა, ბოლომდე ვცდილობდი საკუთარ ოჯახსა და სახლს არ მოვშორებოდი და ემიგრანტობის ტვირთი არ ამეღო, თუმცა ჩემი ოჯახის საჭიროებებმა, ჩემი შვილების მომავალზე ფიქრმა მხოლოდ ეს არჩევანი დამიტოვა“

ემიგრანტი მშობლების თქმით, მიზეზი ნებისმიერ შემთხვევაში უმუშევრობა და მატერიალური კეთილდღეობის არარსებობაა, თუმცა მოტივებზე საუბრისას ისინი უფრო იმედიანად, პოზიტიურად არიან განწყობილნი და გარკვეულწილად მადლიერებასაც გამოხატავენ მათი მიმღები ქვეყნების მიმართ. ძირითადი მოტივი ცხადია საქართველოში დარჩენილი მათი ოჯახების, მათი შვილების მომავლის უზრუნველყოფაა, რისი საშუალებაც სხვა ალტერნატიულ შემთხვევაში არ ექნებოდათ. ერთ-ერთი მშობლის თქმით, ულუკმაპუროდ დარჩენილს მრავალჯერ უთხოვია მეზობლისთვის საკვები, რომ მის შვილებს არ ეშიმშილათ. ამ

მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი უფრო მარტივად იღებს გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ. მშობლების გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა, რომ მათი შვილები უკვე ზრდასრული პიროვნებები არიან, მაინც, ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე, რასაც სტუდენტობას ვუწოდებთ, ყველაზე მეტად საჭიროებენ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც თავის მხრივ განპირობებულია სწავლის საფასურით, უმეტეს შემთხვევაში ბინის ქირით, (რაც უკვე ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული) კომუნალური ხარჯებითა და ყოველდღიური საჭიროებებით. მათი ძირითადი მოტივი კი სწორედ ამ ხარჯების დაფარვა და სტუდენტებისთვის ნათელი მომავლის შექმნაა.

„ როცა ჩემი შვილი სტუდენტი გახდა, ამ ბედნიერებასთან ერთად გაჩნდა მრავალი პრობლემა, რადგან ჩვენს ოჯახს მცირე შემოსავლით არ შეეძლო ყველა იმ ხარჯის დაფარვა, რაც თან ახლდა სტუდენტურ ცხოვრებას. სწორედ ამ მიზეზმა მიმიყვანა ემიგრაციის გადაწყვეტილებამდე“.

თავად სტუდენტებიც ცხადია კარგად იაზრებენ, რომ მათი მშობლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემსახურება მათ კეთილდღეობასა და ფინანსურ უზრუნველყოფას. ერთ-ერთი სტუდენტი გვიყვება, რომ მისთვის ამ გადაწყვეტილებასთან შეგუება არ ყოფილა იმდენად რთული, რამდენადაც მისი უმცროსი დისთვის, რომელსაც პრაქტიკულად ჯერ არ ესმის რას ნიშნავს შრომითი მიგრაცია და რატომ შორდება მისი მშობელი საცხოვრებელს. ის განმარტავს, რომ ზრდასრულ ასაკში გაცილებით ადეკვატურად შეიძლება ამ ფაქტის მიღება, იმის გათვალისწინებით, რომ მიზეზი და მოტივი სრულებით ცხადია ყველასთვის. სტუდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათი მშობლები არიან გმირები, რომლებიც საკუთარ ყოველდღიურობას, საკუთარ თავს წირავენ შვილების კეთილდღეობისთვის.

„ ჯერ კიდევ აბიტურიენტი ვიყავი, როცა დედა მესაუბრა და გამაცნო მისი გეგმები ემიგრაციასთან დაკავშირებით. თავდაპირველად არ ვიყავი კეთილგანწყობილი ამ საკითხის მიმართ, თუმცა როცა გავიაზრე რამხელა ხარჯებთან იყო დაკავშირებული რეგიონიდან დედაქალაქში გადასვლა საცხოვრებლად, მივხვდი რომ ჩემს ოჯახს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და დედაჩემი ამას მხოლოდ ჩემს დასახმარებლად

აკეთებდა. სხვაგავრად, რომ არა ფინანსური უსახსრობა, იგი არასდროს დატოვებდა თავის შვილებს“.

ზოგიერთი სტუდენტის თქმით, მშობლების შრომითი მიგრაცია არ უკავშირდება მხოლოდ სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. როოგრც ისინი განმარტავენ, მუდმივი უმუშევრობის პრობლემა თავისმხრივ ზრდის ოჯახის ვალებს, რაც მარტივად გროვდება და ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მისი გადაფარვა, რაც აიძულებს ადამიანს სხვა ალტერნატიული გამოსავალი ეძებოს, რაც საქართველოში ავტომატურად ნიშნავს შრომით მიგრაციას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ სტუდენტური ხარჯები არ არის მიზეზი იმისა, რომ სტუდენტების მშობლები შრომით მიგრაციაში მიდიან, ამას უფრო ცხადად განაპირობებს ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

შრომითი მიგრაციის გავლენა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე:

ემიგრაციაში მყოფი მშობლები განმარტავენ, თუ რამდენად რთულია თავდაპირველად ამ გადაწყვეტილების მიღება, მასთან შეგუება და შემდეგ მისი შედეგებთან გამკლავება. ერთ-ერთი მშობელი ამბობს, რომ მისთვის ემიგრაციაში ყოფნის პირველი თვე იყო უფრო მეტად თვითგამორკვევისა და გაანალიზების პროცესი, თუ სად მოხვდა, რასთან ჰქონდა საქმე და რა ელოდა მომავალში. მისი თქმით, პირველი თვის შემდეგ, როცა დაფიქრდა და გაიაზრდა ემიგრანტობის ტვირთი, მიხვდა, რომ ფსიქოლოგიურად საკუთარ თავსა და შვილებს აზიანებდა.

„ მომენტი, როცა გავიაზრე რომ ჩემივე არჩევანი ჩემს ოჯახთან განშორებას უდრიდა, იყო დამანგრეველი, შოკისმომგვრელი და ამავდროულად გამოუვალი, რასთან გამკლავებასაც ვცდილობ იმ წამიდან დღემდე „.

ერთ-ერთი მშობელი, რომელსაც საქართველოში 2 სტუდენტი და 1 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს განმარტავს, რომ ზოგადად დედისა და შვილის ურთიერთობაში ყოველი წამი ზემდეტად ძვირფასი და სანუკვარია, ეს არის გრძნობა რომელიც არცერთ გრძნობაზე მაღლა არ დგას და ყველაზე ღირებულია ნებისმიერი დედისთვის. მისი თქმით, შვილებისგან შორს, ემიგრაციაში ყოფნა ნიშნავს

გამუდმებულ შიშს, შფოთვას, ნერვიულობას, რაც არასდროს ნელდება და პირიქით, ერთი ვერ განხორციელებული ზარიც კი, უდიდესი შიშის საფუძველი ხდება, ვინაიდან დედა, რომელსაც კომუნიკაციის ერთადერთ წყაროდ ვირტუალური ურთიერთობა რჩება, ვერასდროს მშვიდდება როცა არ იცის იმ ეკრანის მიღმა რა ხდება, რეალურად როგორ არის მისი ოჯახის წევრები, რას აკეთებენ მისი შვილები, გასაჭირში ხომ არ არიან და ა.შ.

„ ყოველთვის, როცა ჩემს შვილებთან კომუნიკაციას ვერ ვამყარებ, მეწყება შფოთვა, მიწევს წნევა და გული მხოლოდ ცუდს მიგრძნობს ხოლმე. ენით აღუწერილი ჯოჯოხეთია გზა, რომელსაც ჩვენ გავდივართ, რადგან თითქმის არასდროს ვართ მშვიდად, არასდროს ვიცით ზუსტად სად არიან ჩვენი შვილები, რადგან ფიზიკურად არ ვართ ახლოს. პირადად მე, ნერვიულობის ფონზე დავავადდი და განმივითარდა შაქრიანი დიაბეტი, რასთან ერთადაც მიწევს ცხოვრება უკვე 6 წელია“.

თავად სტუდენტებისთვის ამ საკითხზე საუბარი მეტად რთული და ემოციური აღმოჩნდა, თითქმის ყოველ მათგანთან რამდენიმე წუთიანი შესვენება და ემოციურად დამშვიდება გახდა საჭირო, ვინაიდან ეს არის საკითხი, რაც სენსიტიურად აღიქმება ემიგრანტი მშობლების შვილების მხრიდან. ცხადია სტუდენტებს ვკითხე, თუ რა გავლენას ახდენდა მშობლების შრომითი მიგრაცია მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და შეიცვალა თუ არა რამე ამ კუთხით. ერთ-ერთი სიღრმისეული ინტერვიუს დროს, მოვისმინე ასეთი საინტერესო და მრავლისმთქმელი მოსაზრება, რომ მშობლის, როგორც სულის, სხეულის ნაწილის შორს ყოფნა არის დეპრესია, რომელსაც თერაპია და წამალი ვერ კურნავს, რომ ეს არის მუდმივი ღრმა ფიქრებისა და სევდის გზა, რომელსაც ყველა სამშობლოში დარჩენილი შვილი გადის. ამ კონკრეტული სტუდენტის მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ასაკისა (ზრდასრულობისა) შვილისთვის მშობელთან განშორება მაინც უდიდესი გამოწვევაა, რაც უარყოფითად აისახება მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

„მიუხედავად იმისა, რომ კარგად მაქვს გააზრებული რას ემსახურება შრომითი მიგრაცია, ჩემთვის დღემდე რთულია ამ საკითხზე საუბარი. თითქოს არავინ ამბობს

ხმამაღლა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანი და ჩვენი მშობლები ყოველღამით მხოლოდ ერთად ყოფნას ვფიქრობთ, ვნატრობთ და განვიცდით".

შრომითი მიგრაციის გავლენა სტუდენტთა ყოველდღიურ რუტინაზე:

სიღრმისეული ინტერვიუების დროს, მშობლებმა ისაუბრეს საკუთარი თვალსაწიერიდან დანახული სტუდენტი შვილების ყოველდღიურ რუტინაზე და აღნიშნეს, რომ რასაც ისინი ხედავენ მეტნაკლებად რეალური და ნამდვილია. შეუძლებელია ვირტუალურად სრული სიზუსტით აღიქვა თუ რას აკეთებს შენი შვილი, როგორ ხასიათზეა, როგორია მისი ცხოვრება იმის მიღმა რასაც გაჩვენებს. ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ ხშირად შვილები და მისი ოჯახის სხვა წევრები უმალავენ თუ რაიმე ცუდი ხდება, რომ შორს მყოფს ნერვიულობა თავიდან აარიდონ. ასეთ დროს გამუდმებით ჩნდება მშობლის ცნობიერებაში განცდა, რომ თუ შვილს რამე გაუჭირდება შეიძლება საერთოდ ვერ გაიგოს. რაც შეეხება უშუალოდ ყოველდღიურ ცხოვრებას, ისინი ფიქრობენ, რომ შვილები ხან გულწრფელად უზიარებენ გრძნობებს, საჭიროებებს, ხან კი ერიდებიან ყოველდღიურობის გაზიარებას. მშობლები თვლიან, რომ მათი სტუდენტი შვილები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოირჩევიან, იაზრებენ არსებულ სიტუაციას და გარკვეულწილად თავს უფრო მეტად ვალდებულად მიიჩნევენ რომ მშობლების იმედები გაამართლონ. ეს თავის მხრივ გულისხმობს, რომ ისინი ყოველდღიურად უფრო მეტ დროს უთმობენ განათლებას, განვითარებას და ისეთი აქტივობების შესრულებას, რაც სამომავლო კეთილდღეობაზე აისახება.

„ ხშირად მსმენია, შენ რომ არ ხარ შენს შვილს თვალებში მუდამ სევდა აქვსო. ნეტავ ჩემზე უკეთ ესმოდეს ვინმეს ეგ სევდა და დარდი"

ერთ-ერთი სტუდენტი გვიყვება ჩვეულ ყოველდღიურობაზე, რომელიც ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდება რიგითი სტუდენტის ჩვეულებრივი დღისგან, თუმცა იგი საუბრობს მეტად საინტერესო რამდენიმე დეტალზე, რაც ხაზს უსვამს უშუალოდ მშობლის შრომითი მიგრაციის გავლენას მის მოქმედებებსა და ხასიათზე. კერძოდ, სტუდენტი გოგონა ამბობს, რომ მიუხედავად მცდელობისა,

დღე მეტად პროდუქტიულად, სასიკეთოდ გამოიყენოს, ხშირად უჭირს კონცენტრირება, მობილიზება, რადგან ფიქრობს ყველაზე მთავარზე, მშობელზე და მასთან ურთიერთობაზე რის დეფიციტსაც განიცდის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი თქმით, უამრავჯერ გასჩენია სურვილი სახლში მისულს დედა დახვედროდა და მისთვის დარდები გაეზიარებინა, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ უკვე 8 წელია ეს ბედნიერება აღარ აქვს, მხოლოდ ვირტუალურად თუ შეძლებს კომუნიკაციას, რაც ცხადია ვერ ავსებს ამ დანაკლისს. სტუდენტთა აზრით, მათი ყოველდღიურობა თითქოს ლაღი და არაფრით გამორჩეულია, თუმცა ამავდროულად დიდი სევდის და დარდის მატარებელი. თითოეულმა მათგანმა სიღრმისეული ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სახალხოდ, საზოგადოებაში ან თუნდაც საკუთარ მშობელთან ვერ საუბრობენ იმ სიძნელეებზე რასაც აწყდებიან დღის განმავლობაში, რადან პირველ რიგში მეტად სენსიტიური საკითხია და შემდეგ, განსაკუთრებით მშობლებთან ერიდებიან ამაზე ყურადღების გამახვილებას, რადგან ცდილობენ ნერვიულობა თავიდან აარიდონ. ცხადია ასევე საინტერესო იყო გაუცხოების საკითხი, რაზეც ასევე საჯაროდ და ხმამაღლა არავინ საუბრობს, თუმცა ცალკეული შემთხვევების შესწავლით ნათელი ხდება რომ შრომითი მიგრაციის დროს მშობელსა და შვილებს შორის ხდება გაუცხოება. თავად მშობლებმა ამ საკითხზე პრაქტიკულად ვერ ისაუბრეს, რადგან მათი თვალსაზრისით ეს პრობლემა არ დგას, ისინი „მშობლური“ თვალით უყურებენ ყველაფერს და ხშირად გამორჩებათ ხოლმე დეტალები, რომლებსაც შვილები შეგნებულად უმალავენ. რაც შეეხება თავად სტუდენტებს, თითქმის ყველა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ მშობელთან გაუცხოვდა მას შემდეგ რაც უშუალო რეალური კომუნიკაციის საშუალება შეიზღუდა.

მშობელთა შრომითი მიგრაციის პოზიტიური გავლენა სტუდენტ შვილებზე

ცხადია საუბარი გვქონდა შრომითი მიგრაციის პოზიტიურ გავლენებზეც, რაც რა თქმა უნდა, ამ თემის კვლევისას არ უნდა გამოგვრჩეს. როდესაც მშობლები იღებენ

ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებას, მათ იმთავითვე აქვთ პოზიტიური მიზნები და მოტივები, რისი განხორციელებაც იქცევა მთავარ ამოცანად. ერთ-ერთი მშობელი განმარტავს, რომ მისთვის ოჯახზე ზრუნვა და მათი ფინანსურად უზრუნველყოფა იყო შრომითი მიგრაციის მიზანი, რაც წლების განმავლობაში დაუღალავი მუშაობითა და გარჯით მოახერხა, იყიდა სახლი და შვილების ნათელი მომავალი უზრუნველყო. მშობლების აბსოლიტური უმრავლესობა თვლის, რომ მიუხედავად უამრავი განსაცდელისა საბოლოოდ მოახერხეს და ოცნებად ქცეული სურვილები აუსრულეს ოჯახის წევრებს, შვილებს მისცეს განათლების საშუალება, ხელი შეუწყვეს მათ ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში და ერთი სიტყვით, ყველა ის მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრეს, რაც მათ წინაშე იდგა შრომით მიგრაციამდე.

„ ეს გადაწყვეტილება მარტივი არ ყოფილა, მაგრამ დღეს ამაყი ვარ, რომ შევძელი ჩემი შვილების მიზნების რეალობად ქცევა და აღარ ვნანობ, რომ ამდენი წელი მათგან შორს ვიცხოვრე“

თავად სტუდენტები პოზიტიურ შედეგებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ რეალურად მათი ამ ეტაპამდე (სტუდენტობამდე) მოსვლა ცალსახად მშობლის/მშობლების შრომითი მიგრაციის შედეგია. მათი აზრით, სტუდენტური ცხოვრება უამრავ ხარჯთან არის დაკავშირებული, რისი უზრუნველყოფაც საქართველოში არსებული შემოსავლებით მათი ოჯახებისთვის შეუძლებელი იყო, ეს ფაქტი გახდა იმის საფუძველი, რომ არჩევანი შეჩერდა ემიგრაციაზე, რამაც მრავალი პრობლემისა თუ სირთულის ხარჯზე მაინც გამოიღო შედეგი და ოჯახებს მისცა ის, რასაც პრაქტიკულად ვერასდროს მისცემდა სამშობლოში დარჩენა და მინიმალურ ანაზღაურებაზე მუშაობა. სტუდენტები აფასებენ და პატივს სცემენ თავიანთი მშობლების დაუღალავ შრომას, რაც ცხადია მათივე ქმედებებში და მადლიერებაში ცალსახად გამოიხატება.

2.3 რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

კვლევაში ასევე გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ გამოკითხვა განვახორციელე ონლაინ, Google forms ფორმატის საშუალებით, სადაც მონაწილეობდა 60 სტუდენტი, აქედან 72,2% იყო ქალი, ხოლო 27,8% კაცი, რომელთა მშობლებიც იმყოფებიან შრომით მიგრაციაში. გამოკითხულთა 72,2 % ცხოვრობს თბილისში, 16,7% სოფელში, 11,1% დაბაში, ისინი დედაქალაქში და სხვა ქალაქებში ჩადიან უმაღლესი განათლების მისაღებად. გამოკითხულთა 100% არის ქართველი, აქედან 83,3% მართლმადიდებელი ქრისტიანი, 11,1% მუსლიმი ხოლო 5,6% კათოლიკეა. ასევე აღსანიშნავია თუ რომელ საფეხურზე სწავლობენ გამოკითხული სტუდენტები, მათი 88,9% სწავლობს ბალაკავრიატის საფეხურზე, 11,1% კი მაგისტრატურაზე. რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, სტუდენტთა 77,8% არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 11,1% არის რეგისტრირებულ, ხოლო ასევე 11,1% არარეგისტირებულ ქორწინებაში. ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, გამოკითხულთა 66,7% ამბობს რომ ძირითად მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ და საშუალო შემოსავალი აქვთ, 22,2% ამბობს რომ მათი შემოსავალი შეიძლება ჩაითვალოს როგორც მაღალი, რადგან ძირითადი საჭიროებების გარდა დასვენებასა და გართობასაც ახერხებენ, ხოლო 11,1% თვლის, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის ძალიან დაბალი.

უშუალოდ ჩვენს თემას რომ დავუბრუნდეთ, გამოკითხულთა 94,4% ფიქრობს, რომ შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი არის საქართველოში არასტაბილური შემოსავალი, რაც იძულებულს ხდის ადამიანს მიიღოს შრომითი მიგრაციის გადაწყვეტილება. 5,6% თვლის, რომ მიზეზი არის პერსპექტიული სამუშაოს მოძებნა. ცხადია ასევე ჩემი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა მიზნები, თუ რა ძირითადი მიზნები და მოტივები აქვთ მშობლებს როცა მიდიან შრომით მიგრაციაში. (რესპონდენტებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა) გამოკითხულ სტუდენტთა პასუხები ასე განაწილდა, მათი 55,6% თვლის რომ მიზანი ოჯახის წევრების ფინანსური უზრუნველყოფაა, 61,1% მიიჩნევს რომ მოტივი მათი სტუდენტი შვილებისთვის ნათელი მომავლის შექმნაა, 27,8% თვლის რომ უფრო მეტად კერძო საკუთრების შესაძენად მიდიან მშობლები შრომით მიგრაციაში, 11,1% ფიქრობს, რომ საკუთარი ფინანსური დამოუკიდებლობაა

მოტივი, ხოლო 5,6% მიიჩნევს, რომ მიზანია მოგზაურობა და ახალი ქვეყნის გაცნობა. ასევე საინტერესოა თუ როგორ აფასებენ სტუდენტები მშობლების მდგომარეობას შრომითი მიგრაციის პირობებში. გამოკითხულთა 72,2% თვლის, რომ მშობლები ახლა უფრო სევდიანად გრძნობენ თავს ვიდრე შრომით მიგრაციამდე, 16,7% მიიჩნევს რომ ისინი უფრო მიტივირებულები არიან ვიდრე იყვნენ შრომით მიგრაციამდე, 5,6% აზრით მშობლები უფრო უიმედოდ არიან ვიდრე შრომით მიგრაციამდე და ასევე 5,6% მიიჩნევს, რომ მშობლები უფრო მხნედ არიან, ვიდრე შრომით მიგრაციამდე. რაც შეეხება მშობელთან დამოკიდებულების ცვლილებას, ამ საკითხში გამოკითხულთა 44,4% თვლის რომ ისინი უფრო გაუცხოებული არიან, ვიდრე შრომით მიგრაციამდე, 22,2% ფიქრობს, რომ უფრო ახლოს არიან, ვიდრე შრომით მიგრაციამდე, 27,8% მიიჩნევს, რომ ისევე ახლოს არიან, როგორც შრომით მიგრაციამდე და 5,6% თვლის, რომ არც ახლოს არის და არც გაუცხოებული მშობელთან შრომითი მიგრაციის შემდეგ. კითხვაზე, თუ რამდენად შეცვალა სტუდენტთა ყოველდღიურობა მშობლის შრომითმა მიგრაციამ შემდეგი პასუხები მივიღეთ (შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხის არჩევა) : გამოკითხულთა 61,1% თვლის რომ ახლა ფინანსურად უფრო მყარად არიან ვიდრე იქამდე, 55,6% მიიჩნევს რომ ახლა უფრო ხშირად არიან სევდიანად, რასაც მშობელთან განშორება იწვევს, 55,6% ფიქრობს რომ ახლა უფრო მეტს შრომობენ და აკეთებენ კარიერისთვის მშობელთა იმედების გასამართლებლად, ხოლო გამოკითხულთა 5,6% არცერთ პასუხს არ თვლის რელევანტურად. და ბოლოს ცხადია სტუდენტებს ვკითხე, თუ როგორ ფიქრობდნენ, რა სახის გავლენა აქვს მშობელთა შრომით მიგრაციას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სადაც 66,7% ყველა სირთულის მიუხედავად მაინც თვლის რომ გავლენა საბოლოო ჯამში უფრო დადებითია ვიდრე უარყოფითი, 16,7% თვლის რომ უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი, 11,1% მიიჩნევს რომ დადებითია, ხოლო 5,6% არცერთ შეთავაზებულ პასუხს არ თვლის რელევანტურად.

შესაძლოა ითქვას, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით მიღებული შედეგები მეტნაკლებად ერგება ერთმანეთს, თუმცა აქვე აუცილებელია აღვნიშნო, რომ სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში გაცილებით გულწრფელი,

რეალური და საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ, რაც უშუალო კომუნიკაციამ განაპირობა.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით შემიძლია გაგიზიაროთ ჩემი პატარა კვლევის ძირითადი და მნიშვნელოვანი შედეგები, რაც ნათელი გახდა ექსპერტების, მშობლებისა და სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგადად შრომითი მიგრაციის საკითხზე საუბარი განსაკუთრებით რთული და ემოციურია მშობლებისა და მათი სტუდენტი შვილებისთვის, რაც ცხადია აისახა კიდეც გამოკითხვის პროცესზე და მის შედეგებზე.

შრომითი მიგრაცია წარმოგვიჩნდება როგორც პროცესი, რომელიც გარდაუვალია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობისთვის მაშინ, როცა მათი ფინანსური მდგომარეობა არასტაბილური ხდება. ეს არის ერთგვარი გზა გადარჩენისთვის, რომელსაც მიმართავს ქართველი საზოგადოება და მიზნად ისახავს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არსებული ვალდებულებების გადაფარვასა და სტაბილური საარსებო მინიმუმის შექმნას, რაც ქართული შრომის ბაზარზე შესაძლოა ითქვას, რომ შეუძლებელია. აქვე შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: რატომ არის შეუძლებელი დასაქმება საქართველოში, როცა ყოველდღე უამრავი განცახდება გვხვდება ? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში ვაკანტურია ადგილი ისეთ ვაკანსიებზე, სადაც სულ მცირე, დამლაგებელს მოეთხოვება რეალობასთან შეუსაბამო უნარები/თვისებები. ამასთანავე, შემოთავაზებული ანაზღაურება თითქმის არასდროს არ არის სტაბილური, დამაკმაყოფილებელი იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სახლში სტუდენტი შვილები ელოდებიან. ყოველივე ამ ფაქტზე დაყრდნობით ვთანხმდებით, რომ მშობელთა შრომითი მიგრაციის მთავარი მიზეზი არის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. რაც შეეხება შრომითი მიგრაციის მიზნებს, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

1. მშობელთა შრომითი მიგრაცია მიზნად ისახავს ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფას
2. შვილებისთვის განათლებისა და გართობის შესაძლებლობის მიცემას
3. მატერიალური კეთილდღეობის საგნების/საკუთრების შეძენას შვილებისთვის

ეს ჩამონათვალი აშკარას ხდის ფაქტს, რომ მშობელთა შრომითი მიგრაცია მხოლოდ და მხოლოდ მათი შვილების კეთილდღეობას ისახავს მიზნად. მშობლები მთელი არსებით ერთვებიან ამ საქმიანობაში, რაც ცხადია, არც თუ ისე მარტივია შრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა ყველაზე რთულ დროს, საჭირო მომენტში ისინი ნამდვილ თავგანწირულ გმირებად გვევლინებიან და თავიანთ მაქსიმუმს აკეთებენ შვილების მომავლისთვის. როგორც ექსპერტთა გამოკითხვამ და ინტერვიუებმა გვიჩვენა, ზოგადად შრომითი მიგრაციის გზა არის უამრავ სირთულესთან ბრძოლის გზა, სადაც ან თავაწეული აგრძელებ ბრძოლას, ან უბრალოდ ნებდები და სურვილების მიუხედავად ისევ ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს უბრუნდები სამშობლოში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტნაკლებად ყველა მშობელს აქვს გააზრებული ამ საკითხის მნიშვნელობა, თუმცა პრაქტიკაში გადაზრდამდე წინასწარ ძალიან რთულია ბოლომდე გათვიცნობიერება.

მშობლის შრომითი მიგრაცია სტუდენტთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ქცევებს, ხასიათსა თუ მიზნებს. ინტერვიუების საფუძველზე კარგად გამოჩნდა, რომ ხშირად ადგილი აქვს გაუცხოების ფენომენს, რაც ყოველდღიური რეალური კომუნიკაციის დეფიციტს უკავშირდება. მათთვის არ არის საკმარისი ვირტუალური ურთიერთობები, ფინანსური მხარდაჭერა და სხვა მატერიალური კეთილდღეობის შექმნა. ეს გაუცხოება თავის მხრივ იწვევს ფსიქოლიგიურ პრობლემებს როგორც მშობლებში, ისე შვილებში. თითქოს რუტინულ მოქმედებებს და ცხოვრების ჩვეულ წესს ეპარება სევდიანი რიტმები, რასაც მივყავართ ხასიათის, ქცევის თუ მიზნების ცვლილებამდე. სულ მცირე ის ფაქტი, რომ მშობლებთან და შვილებთან ინტერვიუმ ემოციურად ჩაიარა, უკვე ამბობს თავის სათქმელს და პასუხობს კვლევაში დასმულ

ამოცანებს. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ფინანსური კეთილდღეობის მოპოვება არ არის გარანტი იმისა, რომ შვილებს აუცილებლად საუკეთესო მომავალი ექმნებათ, აუცილებელია ზრუნვა მათ ფსიქოლოგიურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, რაც შესაძლოა დაზიანდეს მშობელთან დიდხნიანი განშორების დროს. აქვე აღსანიშნია ფაქტი, რომ მშობელთა შრომით მიგრაციას აქვს პოზიტიური გავლენა შვილების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. უმთავრესია მათთვის შესაძლებლობების მიცემა, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქვთ შანსი გაერთონ, გაატარონ დრო მეგობრებთან ერთად, დაისვენონ, შეიძინონ მათი განათლებისთვის საჭირო ნივთები, მოემზადონ კერძო მასწავლებელთან საჭიროების შემთხვევაში და მრავალი სხვა. ცხადია ეს პოზიტიური გავლენაა, რაც ერთმნიშვნელოვნად ეხმიანება მშობელთა შრომითი მიგრაციის ზოგად მიზნებს.

ყოველივეზე დაყრდნობით, შეგვიძლია პასუხი გავცეთ კვლევის მთავარ კითხვას და ვთქვათ, რომ მშობელთა შრომითი მიგრაცია ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ ხასიათზე, ქმედებებსა თუ ქცევებზე, რაც ცალსახად რეალური ურთიერთობების დეფიციტს და მშობელთან გაუცხოების შედეგია. საბოლოოდ ვიტოვებ იმედს, რომ მომავალში არცერთ სტუდენტს და მათ მშობელს აღარ მოუწევს ამ სირთულეების გადალახვა მხოლოდ ერთი, ნათელი მომავლის შექმნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიგრაციის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა (2017). თბილისი: მიგრაციის
   პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი. გვ.100.
   https://pubhtml5.com/cwgv/xweh

2. კოდუა, (2004). სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. გვ.351. თბილისი: ლოგოს პრესი.

3. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (2004). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი

4. მიგრაციის სახელმძღვანელო-პირველი გამოცემა. (2017). თბილისი: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი. გვ.30-36
   https://pubhtml5.com/cwgv/xweh

5. მიგრაციის სახელმძღვანელო-პირველი გამოცემა. (2017). თბილისი: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისცენტრი. გვ.410.

6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, *,,შრომითი მიგრაციის შესახებ“,* 2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3

7. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. ,,მშობლის შრომითი მიგრაციის ზეგავლენა

მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე“. თბილისი, 2022.

Ypu-report-Left-Behind-Children (4).pdf

8. კარაპეტიანი, გიგა. *,,ემიგრანტი ქალების შრომა და ზრუნვის გლობალური ჯაჭვი".* თბილისი, 2021 https://socialjustice.org.ge/ka/products/emigranti-kalebis-shroma-da-zrunvis-globaluri-jachvi

9. ბადურაშვილი,ი.(2001).Problems of Irregular labour Migration of Georgian Population: ერევანი: UNFPA.გვ. 1-9.

10. OECD/CRRC-Georgia (2017). Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia. Paris: OECSD Publishing.

11. Cerase, F. P. (1974). Expectations and Reality: A Case Study of Return Migration from the United States toSouthern Italy. International Migration Review, 8(2), 210-226.

12. Adhikari, R *,,The impact of parental migration on the mental health of children left behind".* 2014. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/23546615